ვისაც ალლაჰი სიკეთეს უსურვებს, მას რელიგიის

გადმოცემულია მუ'ავიასგან (ალლაჰი იყოს მისით კმაყოფილი), რომელმაც თქვა: გავიგონე, რომ მოციქული (ალლაჰის ლოცვა და მშვიდობა მას) ამბობდა: «ვისაც ალლაჰი სიკეთეს უსურვებს, მას რელიგიის გაგებას ანიჭებს. ჭეშმარიტად, მე მხოლოდ გამანაწილებელი ვარ, ხოლო მბოძებელი ალლაჰია. ეს საზოგადოება არ შეწყვეტს ალლაჰის ბრძანებების მტკიცედ შესრულებას, და მათ არ ავნებენ ისინი, ვინც მათ შეეწინააღმდეგებათ (ასე გაგრძელდება)მანამ, სანამ არ მოვა ალლაჰის განკარგულება».

[სანდო (საჰიჰ)] [შეთანხმებული]

შუმავალი (ალლაჰის ლოცვა და მშვიდობა მას) გვამცნობს რომ, ვისთვისაც ალლაჰს სიკეთე უნდა მას უწყალობებს თავის რელიგიის გაგებას, ყოვლად უნაკლოა ის(ალლაჰი). შუამავალი კი (ღმერთის ლოცვა და მშვიდობა მას) არის გამნაწილებელი, ანაწილებს და არიგებს იმას, რაც უზენაესმა ალლაჰმა მისცა მას: წყალობა, ცოდნა და სხვა. ჭეშმარიტი მბოძებელი ალლაჰია, ხოლო დანარჩენები მხოლოდ შუამავლები არიან, რომლებსაც სარგებლის მოტანა შეუძლიათ მხოლოდ ალლაჰის ნებართვით. ეს საზოგადოება მტკიცედ დაიცავს ალლაჰის ბრძანებებს, და ვერავინ ავნებს მათ, ვინც მათ საწინააღმდეგოდ იმოქმედებს, ვიდრე არ დადგება განკითხვის დღე.

https://sunnah.global/hadeeth/ka/show/5518